№ 186, აგვისტოს 29, ხუთშაბათი. 1866—1885 აგვისტოს 29, ხუთშაბათი. № 186.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯიშვილის სახლში.

ბელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშიაგვ ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით— 8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. —4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ —2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანეთი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ ხელშეკრულება შეითხოვს, რედაქცია გაახსნიერებს და შეასრულებს დანიშნულ ადგილზედ გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

**ᲨᲔᲕᲓᲔᲑᲘ № ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 1-Ს.**

## ᲗᲔᲐᲢᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 1-ᲓᲐᲛ 1886 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ **ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲡᲘ** ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ.

ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ **ᲛᲝᲘᲬᲕᲔᲡ**, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲕᲔᲚᲡ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲓᲐᲡᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲡ.

(10—2) **ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲒᲔ Ვ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ.**

## შინაური ქრონიკა

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ, ᲐᲛ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 24-Ს ᲛᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲛᲘᲗᲮᲝᲛᲘᲡ (ᲥᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ) ᲓᲐᲣᲭᲔᲠᲘᲐᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲒᲖᲐᲐᲕᲜᲘᲚᲡ ᲣᲠᲘᲐᲓᲔᲜᲘᲙᲘᲡ «ᲖᲔᲛᲡᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲯᲘᲡᲐᲡ» ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲐᲜᲡ ᲑᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲡ, ᲛᲝᲗᲐᲕᲔ ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲪᲐᲠᲪᲕᲔᲚᲘ ᲣᲐᲩᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ. ᲓᲐᲭᲔᲠᲘᲚᲘ ᲣᲐᲩᲐᲚᲘ ᲐᲚᲛᲝᲩᲘᲜᲘᲚᲐ ᲩᲐᲤᲠᲐᲓ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲔᲑᲨᲘ, ᲥᲘᲡᲢᲘ ᲗᲝᲠᲛᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ, ᲢᲧᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲐᲒᲔᲑᲘ.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐᲗ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ: ᲔᲠᲗ-ᲓᲐ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ-ᲛᲮᲐᲠᲔ ᲰᲥᲕᲘᲐᲜ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲝᲢᲘᲢᲚᲔᲚᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ-ᲛᲝᲡᲐᲙᲠᲐᲕᲘ ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲛᲝᲠᲘᲠᲔᲑᲐ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲨᲘ, ᲥᲐᲙᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲓ, ᲘᲝᲠᲘᲡ-ᲮᲔᲝᲑᲐ ᲘᲡᲔ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲔᲑᲘᲗᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲔᲑᲠᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ, ᲕᲘᲪᲝᲜᲔᲑᲗ. ᲘᲛᲘᲐᲗᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲐᲡ ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘᲝ.

ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲛ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡᲐ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠ ᲘᲠᲬᲧᲘᲡ, ᲘᲝᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐ-ᲙᲘ ᲙᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕᲘ ᲐᲠᲮᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲙᲣᲚᲘ

ᲖᲝᲠᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲘᲐᲢᲐᲙᲘ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲝᲠ-ᲞᲘᲠᲐᲓ ᲐᲠᲘᲡᲝ ᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲯᲐᲛᲐᲓ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲐᲮᲚᲐᲠᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲛᲝᲠᲘᲠᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲯᲐᲛᲐᲓ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲡ. ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲐ ᲩᲐᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ: ᲡᲘᲛᲝᲜᲘ, ᲘᲛ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝ ᲑᲚᲐᲜᲨᲔᲢᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲚᲐᲓ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲪᲝᲢᲐᲝᲓᲔᲜᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲔᲒᲝ ᲑᲚᲐᲜᲨᲔᲢᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲔᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲓᲔᲓᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲔᲥᲪᲔᲝᲓᲔᲜ ᲛᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲙᲘ ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ ᲠᲐᲔᲑᲡ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲔᲜ ᲛᲐᲖᲔᲓ, ᲠᲐᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲐᲠᲘ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲚᲐᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲘᲮᲕᲔᲓᲔᲜ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘᲪ ᲑᲚᲐᲜᲨᲔᲢᲡ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐᲕᲘᲗ ᲔᲥᲪᲔᲝᲓᲔᲜ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲡ — ᲔᲡ ᲩᲣᲠᲩᲣᲚ-ᲙᲣᲠᲙᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲝᲓᲐ. ᲛᲐᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ; ᲘᲒᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲠᲑᲝᲓᲐ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲝᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲐᲠᲔ-ᲛᲐᲠᲔᲨᲘ, ᲐᲠ ᲣᲨᲚᲘᲓᲐ ᲩᲘᲢᲔᲑᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲤᲣᲗᲮᲝᲑᲓᲐ ᲙᲐᲢᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲚᲔᲑᲡ. ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲘ ᲪᲔᲚᲥᲛᲝᲑᲐ, ᲔᲮᲐᲛᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲩᲘᲜᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡᲐ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲪ ᲔᲠᲘᲓᲔᲑᲝᲓᲔᲜ ᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲣᲠᲩᲐᲑᲔᲒᲝᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲣᲗᲮᲝᲕᲜᲘᲐᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲪᲝᲓᲜᲘᲐ ᲔᲑᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲙᲕᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲭᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲘᲡᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲬᲣᲮᲔᲑᲔᲚ ᲙᲚᲐᲡᲘᲗᲓᲐᲛ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲜ; ᲘᲛᲘᲡ ᲛᲐ�გᲘᲠᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲞᲣᲨᲘᲡ ᲡᲐᲣᲩᲔᲚᲐᲓ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲡ ᲩᲐᲛᲪᲐᲠᲘ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲩᲐᲪᲛᲣᲚᲘ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲛᲝᲠᲪᲮᲕᲘᲪ ᲙᲘ ᲘᲧᲝ. ᲓᲐᲮᲕᲔᲠᲘᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲐᲡ ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘᲝ.

ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ **ᲛᲝᲘᲬᲕᲔᲡ**, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲕᲔᲚᲡ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲓᲐᲡᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲡ.

ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ **ᲛᲝᲘᲬᲕᲔᲡ**, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲕᲔᲚᲡ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲓᲐᲡᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲡ.

## სიმონის მამა

გიუ დე-მოპასანისა.

ᲝᲗᲮᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲮᲛᲐᲣᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲔᲑᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲙᲕᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲭᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲘᲡᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲬᲣᲮᲔᲑᲔᲚ ᲙᲚᲐᲡᲘᲗᲓᲐᲛ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲜ; ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲒᲘᲜᲘ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲔᲠᲗᲘ 15—16 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲗᲐᲡᲯᲔᲠ ᲒᲐᲒᲝᲜᲘᲚᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲐᲗᲔᲚᲡ ᲰᲤᲣᲜᲓᲐ ᲑᲚᲐᲜᲨᲔᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ...

— ᲘᲪᲘᲗ—ᲗᲥᲕᲐ ᲛᲐᲜ ᲓᲐᲪᲘᲜᲕᲘᲗ— ᲡᲘᲛᲝᲜᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲠᲝᲓᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ?

ᲓᲐ ᲐᲘ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ.

ᲡᲘᲛᲝᲜᲘ ᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ; ᲘᲒᲘ ᲨᲔᲘᲓᲘᲡᲐᲜ ᲠᲔᲐ ᲬᲚᲘᲡᲐ ᲘᲧᲝᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲤᲔᲠᲛᲙᲠᲗᲐᲚᲘ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲩᲐᲪᲛᲣᲚᲘ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲛᲝᲠᲪᲮᲕᲘᲪ ᲙᲘ ᲘᲧᲝ.

ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲨᲔᲛᲝᲛᲔᲮᲕᲘᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲪᲘᲜᲕᲘᲗ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲓᲔᲜ. ᲜᲐᲪᲕᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲐᲗ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ, ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲥᲜᲐᲗ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ... ᲘᲛ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲣᲐᲛᲑᲝ ᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲔᲑᲘᲡᲐᲕᲘᲗ ᲔᲥᲪᲔᲝᲓᲔᲜ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲡ — ᲔᲡ ᲩᲣᲠᲩᲣᲚ-ᲙᲣᲠᲙᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲝᲓᲐ. ᲛᲐᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ; ᲘᲒᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲠᲑᲝᲓᲐ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲝᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲐᲠᲔ-ᲛᲐᲠᲔᲨᲘ, ᲐᲠ ᲣᲨᲚᲘᲓᲐ ᲩᲘᲢᲔᲑᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲤᲣᲗᲮᲝᲑᲓᲐ ᲙᲐᲢᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲚᲔᲑᲡ. ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲘ ᲪᲔᲚᲥᲛᲝᲑᲐ, ᲔᲮᲐᲛᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲩᲘᲜᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡᲐ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲔᲑᲘᲪ ᲔᲠᲘᲓᲔᲑᲝᲓᲔᲜ ᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲣᲠᲩᲐᲑᲔᲒᲝᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲣᲗᲮᲝᲕᲜᲘᲐᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲪᲝᲓᲜᲘᲐ ᲔᲑᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲙᲕᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲭᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲘᲡᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲬᲣᲮᲔᲑᲔᲚ ᲙᲚᲐᲡᲘᲗᲓᲐᲛ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲜ; ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲒᲘᲜᲘ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲔᲠᲗᲘ 15—16 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲗᲐᲡᲯᲔᲠ ᲒᲐᲒᲝᲜᲘᲚᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲐᲗᲔᲚᲡ ᲰᲤᲣᲜᲓᲐ ᲑᲚᲐᲜᲨᲔᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ...

— ᲘᲪᲘᲗ—ᲗᲥᲕᲐ ᲛᲐᲜ ᲓᲐᲪᲘᲜᲕᲘᲗ— ᲡᲘᲛᲝᲜᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲠᲝᲓᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ?

ᲓᲐ ᲐᲘ ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ.

— ᲛᲐᲛᲐ ᲐᲠᲐ ᲰᲧᲐᲕᲡ? ᲒᲐᲘᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲡᲮᲕᲔᲑᲛᲐᲪ... ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲝᲜᲔᲑᲐ, ᲡᲘᲛᲝᲜᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲓᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲡ ᲠᲐᲛᲔᲡ: ᲛᲐᲡ ᲐᲠᲐ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐ ᲰᲧᲐᲕᲡ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲡ, ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲛᲐ ᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲖᲐᲠᲘ ᲓᲐᲡᲪᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲛᲢᲔᲠᲐ; ᲘᲒᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲒᲐᲔᲒᲝ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲐᲠᲐ ᲰᲧᲐᲕᲡ, ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲰᲧᲝᲚᲘᲐ, ᲡᲮᲕᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲰᲧᲐᲕᲗ, ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲔᲥᲐᲠᲬᲧᲚᲔᲑᲘᲜᲐ ᲔᲡ ᲓᲐᲡᲐᲚᲝᲜᲘ ᲰᲝᲠᲘ... ᲓᲐᲠᲓᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔᲛ ᲨᲔᲰᲧᲕᲘᲠᲐ:

— ᲐᲠᲐ, ᲛᲔ ᲛᲐᲛᲐ ᲛᲧᲐᲕᲡ...

— ᲛᲐᲛᲐ ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ? ᲰᲙᲘᲗᲮᲔᲡ ᲛᲐᲡ.

ᲡᲘᲛᲝᲜᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ: ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ? ᲛᲐᲡ ᲘᲒᲘ ᲐᲠᲐᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲒᲘᲐ ᲛᲐᲖᲔᲖᲔ...

ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲝᲑᲓᲔᲜ. ᲐᲛᲐᲗ ᲣᲜᲓᲝᲓᲐᲗ ᲡᲘᲛᲝᲜᲘ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲔᲑᲠᲐᲖᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲔᲢᲘᲠᲘᲜᲔᲑᲘᲜᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲒᲘ ᲛᲐᲒᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲘᲛᲝᲜᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘᲡ ᲥᲕᲠᲘᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ

ლიად არაფერი. Ყიზლიარის მცხოვრებთ, რომელნიც რუსების და სხვა ხალხებისაგან შესდგებიან, ახლა ნემეცებიც და ესტებიც მიემატნენ ამ სხვადა-სხვა მოდგმის და ჯურის ხალხმა Ყიზლიარი ძველს ბაბილონს დაამგზავესეს.

## რუსეთი

«Daily News»-ის კორესპონდენტი სწერს საყურადღებო ცნობებს Ასხაბადისა და Თექეს თურქმნების შესახებ

«ასხაბადი, —ამბობს კორესპონდენტი», —დაარქვეს სპარსელებმა და თურქმნებმა იმისთვის, რომ Თექეს არემარეში საუკეთესო ადგილი უჭირავს. სიტყვა ასხაბადი ნიშნავს «სიყვარულის საღგურს». ამ ცოტა ხნის წინად-კი იგი ჩვეულებრივი სოფელი იყო. ქალაქი ერთს ვერცელს ველზედ არის გაშენებული. Ყველა სპარსელი ვაჭრები აქ მოდიოდენ, რომელნიც-კი თექესკენ მიდიოდენ. რუსებმა დაიჭირეს სიმაგრე Ბეოქ თეფე, Ასხაბადში გახსნეს სამმართველოები და მცირედი რაზმიც დააყენეს ძათ დაუწყეს ქალაქს გაშენება და რამდენიმე სახლიც ააშენეს სამმართველოების და მოსამსახურე პირთათვის; ამას გარდა რუსებმა ააშენეს Ასხაბადში ეკლესია, პატარა სასტუმრო და ორი ქარვასლა. Იგინი აგრეთვე ურჩევდენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომ ახალს ქალაქში დასახლებულიყვნენ — რომ ხალხის აჯანყებისა არა შინებოდათ და ფეხი მკვიდრად გაედგათ დაპყრობილს ადგილებში. რუსებმა ადგილობრივ ხალხს იარაღი აჰყარეს.

«Ახლა Ასხაბადში ხუთი ათასამდე ჯარია და ექვსი ათასზედ მეტი მუდმივი მცხოვრებნი. Უკანასკნელთაგან 3,000 სპარსელები და სპარსელი ოსმალები არიან, 2,400 თურქმენები, 500 ქურთები, 150 რუსი და 30 სომეხი. რუსებისა და სხვა უცხო ქვეყნელების გავლენის გამო ადგილობრივ მცხოვრებთა ცხოვრება სრულიად შეიცვალა, თურქმენები, რომელნიც ცუდს პურსა სჭამდენ და აქლემის რძესა სვამდენ და ხორცის ხმარება ხომ თითქმის არ იცოდენ, ეხლა იმისთანა საჭმელებსა სჭამენ, როგორიც წინად გაგონებითაც არ გაეგონათ: ქალაქის თურქმნები ჩაისა და არაყსაც სვამენ. ეს ცვლილებანი და რკინის გზის გაყვანა ამკვიდრებს რუსეთის უფლებას თურქმნებზედ. მაგრამ ესეც უნდა ვთქვათ, რომ ადგილობრივ მცხოვრები თურქმენები მცირე ნაწილს შეადგენენ; მომეტებული ნაწილი-კი უდაბნოებში დაძრწის. .

◆◆ ზოგიერთმა პოლშურმა გაზეთებმა გაავრცელეს ხმები, რომ რუსის მმართებლობა ვერ ეპყრობა წესიერად პრუსიიდამ გადმოსახლებულს რუსის ქვეშევრდომებსო. ამის შესახებ ერთი პოლშურივე გაზეთი სწერს: «რუსის უმაღლეს მთავრობაში მოახდინეს განკარგულება, რომ რუსის ქვეშევრდომთ, რომელნიც გადმოდიან პრუსიიდამ, დიდი შეღავათი მიეცესთ საზღვრის ტამოჟნებზე. ტამოჟნის მოხელეთ ნაბრძანები აქვთ, რომ უბაჟოდ გაუშვან ყოველი საოჯახო ნივთეულობა გადმოსახლებულთა. მხოლოდ სამნურნეო იარაღებით დაბარგულს თითო ურემზე აიღონ თითო მანათი. ბადმოსახლებულთ ნება აქვთ სადაც და რა ხელობაც ჰსურთ აიღონ და იმუშავონ.»

## უცხოეთი

◆◆ აგვისტოს 21 რიცხვი დიდებულად იდღესასწაულეს გერმანიელებმა. სწორედ ხუთმეტი წელი შესრულდა მასუკან, რაც ნაპოლეონ III მთელის თვისის ჯარით, სედანში მომწყვდეული გერმანიის ჯარისაგან, დანებდა მტერს. მეორე იმპერიისათვის სედანის კაპიტულიაცია სასირცხო მოვლენაა; მას გვერდს ვერ აუქცევს ევროპის ისტორიის მემატიანე. მაგრამ ეს მოვლენაა მიზეზი, რომ ბონაპარტიზმს ფეხი ამოეკვეთა საფრანგეთში. ქმარა მხოლოდ სედანის საქმის გახსენება, რომ ყოველი ჩამომავალი ნაპოლეონის გვარეულობისა, რომელიც კი გამეფებას მოიწადინებს საფრანგეთში, ჩაჰქოლონ. ასე რომ ბერმანიის გარდა საფრანგეთმაც უნდა იდღესასწაულოს სედანის დაცემის დღეობა, რადგან ამ დღიდამ მოისპო ნაპოლეონიდების მეუფება საფრანგეთზე, ველარ აღზდგება კორსიკანული კესარიზმი.

◆◆ მას შემდეგ, რაც ბერმანიამ კოროლინის კუნძულებზე დავა განაცხადა და ერთი ამათგანი დაიჭირა კიდეც, ესპანიას თვისი შინაური მტერი—ხოლერა დაავიწყდა.

ბაზეთები აღარაფერს ცნობას არ გვაძლევენ ამ საშინელს სენზე. მაგრამ მაგვრად ევროპის ყოველს გაზეთში შეხვდეთ, გვგონია, კოროლინის კუნძულების საქმისა და იმ უკმაყოფილების აწერას, რომელიც ესპანიაში გამოიწვია ბერმანიისაგან ერთი ამ კუნძულთავანის დაჭერამ. უკმაყოფილებამ თავი იჩინა მხედრობაშიაც. სრულიად ესპანიის ჯარში გაიღვიძა მამულის მოყვარულმა გრძნობამ. მადრიდის სამხედრო გაზეთები უფრო სიცხადით სწერენ ბერმანიის წინააღმდეგ, ვინემ სხვა გაზეთები; ისინი პირდა-პირ ეუბნებათ მკითხველებს, რომ მათის აზრით ესპანია არ უნდა ჩამოუდგეს ბერმანიას, არ უნდა ეშინოდეს მისი, რომ ზღვაზე შეუძლია. მას ყოველის მხრით დიდი ზარალი მისცეს ბერმანიას და ერთი მეორეზე დაღუპოს ამას სავაჭრო გემები. ვალენსიის ჯარების სარდალმა გენ. სა-

---

პატარა მტანჯველებმა თავიანთი აასრულეს: ხელი ხელს დაჭერილები, გარს უვლიდენ სვიმონს და უძახოდენ: «მამა არა ჰყავს! მამა არა ჰყავსო!»

სვიმონმა ტირილი შესწყვიტა: მას სიბრაზე მოერია წამოავლო რაც-კი მოხვდა ხელში და მივარდა თავის მტრებს, იმათაც შეეშინდათ და გაიქცნენ.

სვიმონი დარჩა მარტო, ყველასგან დატოვებული მან თავის დაღრჩობა განიზრახა. Იგი მდინარისაკენ გაექანა Ერთი კვირის წინად ერთი გლახა, რომელსაც მთელი თავის ცხოვრება მთხოვროობაში გაეტარებინა, ჩავარდა მდინარეში და დაიღრჩო: მას ერთი გროშიც არა ჰქონდა, რომ პური ეყიდნა. რითია სვიმონი მაზედ ბედნიერი—მას მამა არა ჰყავს. სვიმონიც იქ დაესწრო, როდესაც გამოათრიეს დამღრჩვალი წყლიდამ. საწყალი მოხუცი! წინად ისეთი შესაბრალისი, ჭუჭყიანი და საძაგელი ჩანდა და ეხლა-კი გააოცა სვიმონი თავის მშვიდის და წყნარის სახით: მკრთალი ლოყები და ღია მშვიდი თვალები, ჰქონდა. «იგი მოკვდა», ამბობდა ხალხი. «ეხლა-კი ბედნიერია», იძახდენ ზოგნი. სვიმონმაც გადასწყვიტა თავის დაღრჩობა. რისთვის უნდა მას სიცოცხლე? იმასაც ისევე არა ჰყავს მამა, როგორც იმ გლახას არა ჰქონდა ლუკმა პური. Იგი მივიდა მდინარესთან და დააშტერდა. სვიმონმა შესწყვიტა ტირილი! Იგი ძალიან გაიტაცეს თევზებმა, რომელნიც ვერცხლის ფრად ბჭყვინავდენ მზეზე. სვიმონს თავის დაღრჩობის ფიქრი ხან მოუვიდოდა ხოლმე და ხან-კი გადაავიწყდებოდა.

— არა, არა თავს დავიღრჩობ,— იმეორებდა იგი—მე მამა არა მყავს!..

მაგრამ მშვენიერი ტაროსი იყო, მზე სასიამოვნოდ მშვენივრად ჰფენდა არე მარეს თავის სხივებს, წყალი ისე ლამაზად ლაპლაპებდა, როცა ბავშვს გული მოუბრუნდა; თავის დაღრჩობის ფიქრმა ძილი მოჰგვარა. მას მოუნდა აქვე ბალახებში ჩაწოლა, და ძილი, მზის მოთამამე სხივების ქვეშ, მაგრამ პატარა მწვანე ბაყაყმა, რომელიც ფეხებში გამოუხტა, ძილი გაუფრთხო. იგი მისწვდა დასაჭერად, ბაყაყი გაექცა, ისიც გაჰყვა უკან და შეეცადა დაჭერას, მაგრამ მაინც ვერ დაიჭირა. შემდეგ როგორც იყო დაიჭირა. მას არ შეეძლო არ გაეცინა, როდესაც უყურებდა იმის კვლანჭვას, რომლითაც უნდოდა განთავისუფლებულიყო. ბაყაყი უკანა ფეხებზედ შედგებოდა, იძაფებოდა თავის უკანა ფეხებით და შემდეგ ჰკუნჭავდა გადასახტომათ, თვალები რგვალი ჰქონდა, მწვანე წრეთი, და წინა მოკლე ფეხები ისე მოძრაობდენ, როგორც ხელები, სვიმონს ბაყაყის ხტუნაობაზედ თავის სათამაშოები მოაგონდა. შემდეგ გაახსენდა თავისი სახლი, დედა ისევ დაღონდა; და დაიწყო ტირილი. ტირილი აღრჩობდა, სულს უხუთავდა მას; იგი არაფერს არას ხედავდა თავის გარშემო, არას ფიქრობდა, მხოლოდ ტიროდა და ტიროდა ამ დროს ვიღამაც უეცრად ხელი წაავლო და ჰკითხა:

— რა არის ბიჭო? რაზედ ტირი აგრე?

სვიმონი შეკრთა და მიიხედა; მის წინაშე იდგა მაღალ-მაღალი, წვერიანი და შავი ხუჭუჭ თმიანი კაცი. ეს იყო მჭედელი; იმის თვალები ისე მშვიდად იცქირებოდენ, რომ ბავშვი მიიზიდა.

ცრემლებიანი თვალებით და ტირილის ხმით უთხრა სვიმონმა:

— მე მცემეს იმიტომ რომ მე... მე მამა არა მყავს.

— როგორ? ჰკითხა მჭედელმა და გაიცინა—მამა ყველას ჰყავს.

— მე... არა მყავს.. ტირილით ეუბნებოდა ბავშვი.

მჭედელი მიხვდა რომ ეს ბლანშეტის შვილი იყო. ბლანშეტზედ იმანაც ცოდაოდენი რამ იცოდა.

— წავიდეთ—უთხრა მან სვიმონს—დამშვიდდი, მე დედაშენთან მიგიყვან.. Იქნება მამაც გიპოვნო.

Იგინი გაეგზავნენ; მჭედელს სიმონი ხელ დაჭერილი მიჰყავდა. მჭედელი ჩაიცინებდე ხოლმე: თითქოს კმაყოფილი იყო სვიმონთან შეხვედრის.

ბლანშეტი ყველაზედ ლამაზი იყო ამ უბანში და აჰიტომაც მას უხარო და ამისთანა შემთხვევით მისი ნახვა და მასთან ლაპარაკიც, მერმე, ვინ იცის,—ერთხელ ცოდოს ჩამდენი, მეორეთაც შეცოდავს.. ამისთანა ფიქრები მოსდიოდა ახალ-გაზდა მჭედელს თავში; და აი ისინი კიდეც მივიდენ. მათ წინ პატარა, თეთრი და ძალიან სუფთა სახლი გამოჩნდა.

— აქ არის სთქვა ბავშმა და დაუყვირა დედას.

ფანჯარაში ახალგაზდა ქალი გამოჩნდა, მჭედელმა სიცილი შესწყვიტა, სწრაფად იგრძნო რომ ხუმრობა არ შეიძლებოდა ამ ფერ-მკრთალ ქალთან, რომელიც ისე უყურებდა მას, თითქოს უკრძალავდა—ჩემი სახლის კარებში ფეხი არ შემოდგაო.

მჭედელი შეკრთა, ძლიეს მოიკრიფა გონება და უთხრა:

— აი, ქალო, თქვენი შვილი მოვიყვანე; მას გზა არეოდა მდინარესთან.

სვიმონი კიდეც მოეხვია თავის დედას, და მალავდა თავის ნამტირალევ სახეს.

— არა, დედავ, მე გზა არ ამრევია—ბუტბუტებდა ბავშვი—მე უნდა თავი დამეღრჩო: მე მკემეს, ძალიან მცემეს, იმიტომ რომ მამა არა მყავს.

სირცხვილის სიწითლემ გადაჰკრა მკრთალ ლოყებზედ ახალგაზდა ქალს. Აღელვებული და გადარდიანებული ქალი იკრავდა გულში თავის მტირალს შვილს; მჭედელი ტორლიალობდა, ერთ ადგილას და არ იცოდა როგორ წასულიყო; მაგრამ ბავშვს მოაგონდა იგი; მიირბინა მასთან და ხელები დაუჭირა.

— ბინდათ თქვენ ჩემი მამა იყოთ?

სიჩუმე ჩამოვარდა, ბლანშეტი იწოდა სირცხვილისაგან და გულზედ ხელს იდებდა, რომ დაეყენებინა გულის ცემა. მჭედელსაც სცხვენოდა და არ იცოდა რა ეთქვა. ბავშმა როცა ნახა, რომ მას პასუხს არ აძლევდენ, ტირილი დაიწყო.

— თუ რომ თქვენ არ გინდათ მამაჩემი გახდეთ, მაშ წავალ და ისევ წყალში ჩავარდები...

მჭედელმა ეს ვითომ ხუმრობაში გაატარა...

— ძარგი ვიქნები შენი მამა; ხოლოდ ნუ სტირი.

— შენ რა გქვიან? ბაეხარდა ბავშვს—ა? მითხარი: ეგ მინდა ვიცოდე, რომ პასუხი მივუგო ხოლმე, როდესაც მკითხავენ გყავს მამა თუ არაო.

— ფილიპე,—უთხრა მჭედელმა.

სვიმონი დაჩუმდა და დამშვიდდა: მას მამა ჰყავს. მჭედელმა აიყვანა იგი ხელში, აკოცა ორივე ლოყაზედ, დასო შემდეგ და წავიდა.

როდესაც მეორე დღეს სვიმონი სკოლაში მივიდა, ამხანაგები სიცი-

ლამანცმა დაბეჭდა ერთს გაზეთში წერილი, რომელიც მიმართული იყო გერმანიის ტახტის მემკვიდრისადმი. ესპანიის გენერალი სოხოვდა მის დიდებულებას, რომ წაიღოს უკან ის გერმანიის ორდენი, რომელიც 1883 წ. ებოძა გენერალს მემკვიდრე პრინცისაგან. მე იმედი მაქვსო,—სწერს გენერალი—რომ მკერდს ესპანიის ჯვრით დავამშვენებ გერმანიის საწინააღმდეგო ომშიო. ბევრნი სხვანიც გაჰყვნენ ხსენებულის ენერლის მაგალითს. ფრანცუზული გაზეთები ამბობენ, რომ ესპანიის მეფე ალფონსმა საკუთარი წერილი მოსწერაო გერმანიის ტახტის მემკვიდრე პრინცს და სთხოვაო შუამდგომლობა გერმანისა და ესპანიის შორის ამტყდარის დავის დასამშვიდებლად.

## სხვა და სხვა ამბავი.

—

საინტერესო შინაარსი რომანისათვის. ამ ოცი წლის წინად, ნიუ-იორკის მახლობლად სცხოვრობდაო ერთი კაცი ბრანდი, რომელიც ომიანობის დროს შეიდა სამხედრო სამსახურში. ცოლი შინ დატოვა; ბრანდი უშვილო იყო. დიდი დროც გავიდა და ცოლისათვის არავითარი ამბავი უცნობებია. ცოლმა იფიქრა, ჩემი ქმარი სწორედ მოკვდაო, რომ ამდენი სანია არათვერს მწერსო, ადგა და მეორე ქმარს გაჰყვა, რომლისაგან მალე ქალი-შვილი შეეძინა. ამ ქალს ქმარი მალე მოუკვდა და საცხოვრებლად გადავიდა ლივერფულში. რამოდენიმე ხნის შემდეგ, იმის გადასახლებისა, ბრანდი დაბრუნდა სამშობლოში. მას დიდი ქონება შეეძინა. ცოლის გარემოების ვერაფერი გაიგო მან და გარდასახლდა მექსიკაში. აქ გაეცნო ერთს ასულ-გაზდა ლამაზ ქალს და შეირთო ცოლად. ასეა ბრანდი მოკვდა და აღმოჩნდა, რომ ქვრივი, რომელსაც ბრანდმა დაუტოვა დიდ-ძალი ქონება, იყო ქალიშვილი მისი უწინდელის ცოლისა მეორე ქმრისაგან.

—

ბუნების საკვირველება. ამ ცოტა ხანში ევროპა ხახავს ერთს საკვირველს ფენომენს, რომელიც ინდოეთიდამ მოჰყავთო. 13 წლის ინდოელ უმაწვილს ორი სრულიად წესიერად ასხმული ტანი და ერთი თავი აქვსო. ოთხი ფესით იმას შეუძლია იარაოს რიგ-რიგად, ხან წინა-ფესებით და ხან უკანათიო. ერთს ინდოელს მიუცია უმაწვილის მშობლისთვის ათასი ოქრო და ეს უმაწვილი წამოუყვანია ევროპიისაკენ.

—

ტურნიურის ხმარება ერთ რიგად სასარგებლო ყოფილა. ეს ცხადად დამტკიცდა პეტერბურგის ერთ მოძრიგებელ მოსამართლესთან. ერთს ქალს ქურდობას აბრალებდენ. საქმის გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც ქალზე ქურდობის ეჭვი აიღეს, მისინვე პოლიციაში წაიყვანეს, სადაც შენიშნეს, რომ კაბა უკან აფსოლილი ინდოურის ბოლოსაგით ჰქონდა ძაღლა აშვერილი. როდესაც ჰკითხეს, რომ ეს რისაგან არისო, ქალმა მიუგო ტურნიური მაქვს გაკეთებული, როგორც მოდების მოყვარულს ქალსაო. რა საშინლად გაუკვირდათ, როდესაც ეს ქალი გასინჯეს და ტურნიურის ქვეშ ერთი პატარა ბოჩკა დამარილებული ნაფოტა თევზი ორი უფროვეს ტაფა ქოლგა, ჩალის შლიაპა და 15 გასაღები ერთად ასხმული.

—

ყავის საფქვავი მუსიკით. ბეშტის გამოფენაზედ საზოგადოების ყურადღება მიიზიდა ყავის საფქვავმა, რომელიც დაფქვის დროს მარშსაც უკრავს. ერთი გაზეთი ამის შესახებ ამბობს, რომ ურიგო არ იქნებოდა საკვრავი და სამზარეულო მაშინებიც ასე მომართონო, რომ მკვრავმა და მზარეულმა ქალებმა უფრო სალისიანად ისაქმონო.

—

მოსწრებული პასუხი. მომრიგებელი მოსამართლე ჰკითხავს საათის ქურდს: სომ გამოტყდით რომ ეს საათი თქვენ გისესესთ?—დიდ, ბატონო!—მაშ თქვენ სართ ქურდი ამ საათისა.—არა, ბატონო.—როგორ! ჰკითხავს მსაჯული. როგორ და ასე: ეგ საათი დადის მეც დავდივარ—ავდექით და ორივე ერთად წავალით.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსა“

აგვისტოს 27-ს.

ვენა. ავსტრიის რეიხსტაგი ენგენისთვის 10-ს შეიკრიბება.

ქაირი. კასალის დათმობის ამბავი მოჯანყეთათვის ტყუილი გამოდგა. უკანასკნელად მოსულის ცნობებიდამ სჩანს, რომ კასალაში ჯერ ყველაფერი მშვიდობით არის; აბესინელთა მოწინავე რაზმი გაელაშქრა კასალის მეცხოვნე ჯარის მისაშველებლად. იქითკენვე გაელაშქრება მალე 10,000 მეომარი აბესინელებისა.

აგვისტოს 28-ს.

პეტერბურგი. დ. თ. გლადიმერ ალექსანდრეს ძე და დ. კ. მარიამ შვილს ასული გუშინ პეტერბურგში დაბრუნდენ.

„ს.-პეტერბურგის უწყებანი“ ამბობენ, რომ ენგენისთვის დამდეგს შეუდგებიან მდ. დნეპრის ზღვის შესართავ ადგილის გაწმენდას და ჩაღრმავებას. მუშობა ერთს წელს გაგრძელდებაო.

სიმფეროპოლი. დ. თ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე გუშინ ორიანდაში წავიდა, იალთის მახლობლად.

მადრიდი. ხალხის აღელვებამ მეტირედ იკლო, რადგან გერმანიამ დამაშვიდებელი განმარტებანი წარმოადგი-

ლით დახვდენ; იგი აღარ კრთებოდა და თითქოს ამაყის თვალით უცქეროდა თავის მტრებს, და როდესაც გუმინდებურად დაიწყეს: «მამა არა ჰყავსო», მან ამაყად მიუგო:

— სტყუით, მყავს; სახელად ფილიპე ჰქვიან.

— ფილიპე? . ეგ რომელი ფილიპე? საიდამ გიშოვია ეგ შენი ფილიპე? მიაცივდენ, მას ასე მოულოდნელად მამის გამოჩენით გაკვირვებული მეგირდები. სვიმონი არაფერს არ ეუბნებოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მას ჰყავდა მამა, რომელსაც ფილიპე ერქვა და ყველა-ნაირს დაცინვას ითმენდა.

მთელი სამი თვის განმავლობაში ფილიპე ხშირად გაიელვებდა ხოლმე ბლანშეტის სახლის წინ, შეიხედავდა ფანჯარებში, რომ დაენახა მისი ლამაზი სახე. ხანდისხან კიდეც გაჰბედავდა ხოლმე ფანჯარასთან მისვლას და ბლანშეტთან ლაპარაკს. იგი ზდილობიანად ექცეოდა მას. ბლანშეტიც კარგად ექცეოდა, მაგრამ ოთახში შესვლის ნებას-კი არ აძლევდა. ხშირად რაკი ადამიანს ერთხელ სახელი გაუტყდება, სულ ბოლომდის ისევ ისეთი ჰგონიათ, რა გინდ კარგადაც ეჭიროს თავი, და ამიტომ, თუმცა ბლანშეტი მოკრძალებით იქცეოდა, ბოროტი ენები მაინც მაზედ ცუდ ხმებს ავრცელებდენ.

რაც შეეხება სვიმონს, მას ძალიან უყვარდა თავის ახალად ნაშოვნი მამა—მჭედელი. ხშირად მიდიოდა მასთან და ერთად დასეირნობდენ საღამ-საღამობით. იგი სკოლაშიაც მუყაითად დაიარებოდა და შეგირდებისა აღარ ეშინოდა, მაგრამ ერთხელ იმ ბიჭმა, რომელმაც პირველად უთხრა, რომ მამა არა გყავსო, სიბრაზით მიირბინა მასთან და კიდევ უთხრა:

— იტყუე, შენ მამა არა გყავს: ფილიპე მამა-შენი არ არის.

— რატომ? უთხრა აღელვებით სვიმონმა.

ბიჭი ხელებს იფშვნეტდა სიხარულით.

— იმიტომ რომ, ის რომ მამა-შენი იყოს, დედი-შენის ქმარი იქნება...

სვიმონი თუმცა გამტყუნდა ამით, მაგრამ მაინც გულს არ იტეხდა.

— მაინცა-და-მაინც იგი მამა-ჩემია.

— შეიძლება, იქნება ეგრეც არის,— განაგრძო შეგირდმა დაცინვა,—მაინც იგი შენი ნამდვილი მამა არ არის. სვიმონი გაჯავრებული და აღელვებული დაბრუნდა სამჭედლოში, სადაც ფილიპე მუშაობდა.

ეს სამჭედლო მთლად მწვანეში იყო ჩამალული; შიგ საშინლად ბნელოდა. მხოლოდ ფუქსით გაჩაღებული ცეცხლი შუქს აყენებდა ხუთს მჭედელს, რომელნიც იქ მუშაობდენ. იმათი ჩაქუჩის რახუნი აურუებდა მთელ არე მარეს. სვიმონი ისე შევიდა სამჭედლოში, რომ ვერავინ შეამჩნია, მიეპარა ფილიპეს და სწვდა სახელში. ფილიპე შედგა, სხვა მჭედლებმაც საქმეს თავი დაანებეს

— რა გინდა?

— მე ამ წამს მითხრეს, რომ შენ ნამდვილი მამა არა ხარ ჩემი. მართალია?

— ეგ რატომ?

— იმიტომ, რომ შენ დედი-ჩემის ქმარი არა ხარ.

ბავშვის გულ-წრფელობაზედ მჭედლებმა არ გაიცინეს. ფილიპე თავ ჩაღუნული იდგა, და მაგრა უჭერდა ხელს ჩაქუჩის ტარს; იგი ფიქრობდა; ამხანაგებიც უყურებდენ მას. პატარა სვიმონი, რომელიც უფრო პატარად ჩანდა დიდრონ ვაჟ კაცებში, ბიბით ელოდა თავისთვის უსიამოვნო პასუხს.

ერთმა იმ მჭედელთაგანმა უთხრა ფილიპეს:

— ბლანშეტი გულ-კეთილი მშვიდი და პატიოსანი ქალია, თუმცა უბედურება შეემთხვა... იგი მოსაქმეა და, ღმერთს გეფიცები, რომ ის კარგი ცოლი იქნება კარგი ქრმისა...

— ეგ მართალია... მაიმეორეს სხვებმაც. მჭედელმა განაგრძო:

— ბანა ის არის იმ უბედურებაში დამნაშავე? მას შერთვის პირობა მისცეს და მოატყუეს. მე რამდენი ქალი ვიცი, რომელთაც ეგ უბედურება შემთხვეევიათ, მაგრამ პატივს კი მაინც სცემენ.

— ეგ მართალია .. ერთ ხმით წარმოსთქვეს სხვებმა.

მჭედელმა განაგრძო:

— მან მარტო უნდა აღზარდოს თავის ბავშვი, და ეს ადვილი არ არის. მისი შებრალება უნდა ვიქონიოთ. იგი სულ ტირის და მხოლოდ ეკლესიაში გამოდის...

— ჰო, ეგ მართალია... იძახდენ სხვები. მჭედელი დაჩუმდა. მხოლოდ ფუქსის ბერვის ხმა ისმოდა, რომელიც ცეცხლს აჩაღებდა.

ფილიპემ თავი დაიხარა და სვიმონს წასჩურჩულა:

— დედა-შენს უთხარი, რომ მე სალამოზედ მოვალ მასთან სალაპარაკოდ.

სვიმონი შინისკენ გაიქცა და ფილიპემაც მუშაობა განაგრძო. ხელახლად დააჩახუნეს ხუთი ჩაქუჩი, თითქოს უფრო მხიარულად როგორც დიდი ზარის ხმა ირჩევა ხოლმე უქმდღეში, ეგრეც ფილიპეს ჩაქუჩის ხმა ირჩეოდა სხვა ჩაქუჩის ხმებიდამ; როდესაც ვარსკვლავები გამოჩნდენ ცაზედ, ფილიპემ დაარახუნა ბლანშეტის კარები. მას თავის სუფთა ხალათი ეცვა და თაკიც კარგად ჰქონდა გადავარცხნილი. ახალ-გაზდა ქალი კარებში გამოჩნდა და მრისხანე თვალით შეხედა მას.

— კარგი არ არის, ბატონო ფილიპეე, ასე გვიან მოსვლა.

მას უნდოდა პასუხის მიცემა, მაგრამ სიტყვა ვერ მოახერხა, შერცხვა ისე რომ ვერც კი შეეხედნა მისთვის.

— თქვენ კარგად იცით, რასაც ლაპარაკობენ ჩემზედ..

ამ დროს მან უთხრა:

— რა უშავს, თუ კი თქვენ ისურვებთ ჩემს ცოლობას...

მას პასუხი არ გასცეს და არც საჭირო იყო. იგი ოთახში შეევიდა ლოგინში მწოლმა სვიმონმა, გაიგო კოცნა და რამდენიმე სიტყვა, რომელიც მისმა დედამ სთქვა. შემდეგ მჭედელმა აიყვანა სვიმონი და მიიკრა გულში.

— შენ ამხანაგებს უთხარ ბავშო, რომ მამა-შენი—ფილიპე რემი, მჭედელი არის, და ვინც შეგ გაგაჯავრებს იმას ცუდი საქმე მოუვა.

მეორე დღეს, როცა სკოლა აიესო შეგირდებით პატარა სვიმონი, გაფითრებული, ტუჩების კანკალით წამოდგა და დაუყვირა თავის ამხანაგებს:

— მამა-ჩემი—ფილიპე რემი მჭედელი არის; იგი ყურებს ააგლეჯს მას, ვინც კი გამაჯავრებს.

ამ დროს არავის არ გაეცინა, ყველა კარგად იცნობდა ფილიპე რემის, მჭედელს, და ყველამ იცოდა რომ, მას ხუმრობა არ უყვარდა. ამისთანა მამით ბევრი მათგანი იამაყებდა.

ედ. ბ-ეფაშვილისა.

ნა ეკონომიის კუბუღეის შესახებ ორ მაბეჭის შეფეგ ჩაიარა ქალაქში და ხალხი ყველგან პატივისცემით ეგებებოდა.

## ბირჟა

ბერლინ-ბურგ აღმოსავლეთ 27.

| | | |
|---|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე | — — | $23^{15}/_{16}24^{3}/_{32}23^{3}/_{32}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე | — — | $203^{3}/_{8}204^{1}/_{2}203^{3}/_{4}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიზზე | — — | 252 $252^{1}/_{4}$ |
| პოლიუმპერიალები | — | 8 მ. 28 კ. გაუ. |
| ტამოუნის კუპონები | — | 8 მ. 28 კ. გაუ. |
| ვეცხლის მანათი | — | 1 მ. 32 კ. გაუ. |
| ბირჟის დისკონტი | — — | $5^{1}/_{4}$ და $6^{1}/_{2}$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა | — — — | 99 მ. 38 კ. გაუ. |
| მეორე გამოცემისა | — | 99 მ. 12 კ. გაუ. |
| მესამე გამოცემისა | — | $98^{1}/_{2}$ მ. მუ. |
| ოთხე გამოც. | — — | $98^{1}/_{4}$ მ. მუ. |
| ეხუთე გამოც. | — — | 98 მ. 12 კ. მუ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. | — | $97^{1}/_{4}$ მ. გაუ. |
| მეორე გამოც | — — | $97^{1}/_{4}$ მ. მუ. |
| მესამე გამოც. | — — | $97^{1}/_{4}$ მ. მუ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა | — | $219^{1}/_{2}$ მ. გაუ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა | — | $211^{3}/_{4}$ მ. გაუ. |
| ოქროს რენტა | — — | $174^{1}/_{4}$ მ. გაუ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები | — — — | 27 წ. $89^{1}/_{4}$ მ. გამუ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | | 43 წ. 89 მ. გამუ. |


## ცნობანი

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 16 მარიამობისთვიდამ 1 ენკენისთემდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამოძრსვარი ჭური ხუ | | | |
| სეთის ფქვილისა | — — | 1 გრ. | 5 ბ |
| აქურას ფქვილისა: პირველის ხარისხისა | — — | 1 | $2^{1}/_{2}$ |
| მეორისა | — — — | 1 ბ | 2 ბ |
| იმავე ფქვილისა თორნეში გამოცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | — | 1 ბ | $4^{1}/_{2}$ |
| მეორისა | — — — | 1 ბ | 3 ბ |
| მესამისა | — — — | 1 ბ | $2^{1}/_{2}$ |
| ჯაარის-მამის ჭური: | | | |
| პირველის ხარის ლავაში | | 1 ბ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | | 1 ბ. | $3^{1}/_{2}$ |
| მესამისა | — — — | 1 ბ. | 3 ბ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | — | 1 ბ | 6 ბ |
| ძეოისა | — — — | 1 ბ. | 5 ბ. |
| სუკი | — — — | 1 ბ. | 13 ბ |
| ცხვრის ხორცი | — — | 1 ბ | 7 ბ |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | | 1 ბ. | |
| მეორისა | — — | 1 — ბ | |

### რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

**თბილისიდამ ბათუმისაკენ**
8 საათზე და 35 წამ. დილით.

**ბათუმიდამ თბილისში შემოდის**
10 საათ. 25 წამ. ღამით

**თბილისიდამ ბაქოსკენ**
10 საათზე 55 წამზე ღამით.

**ბაქოდამ თბილისში შემოდის**
8 საათ. დილით

**თბილისიდამ სურამისაკენ**
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

**სურამიდამ თბილისში შემოდის**
8 საათზედ 24 წამ. დილით.


# განცხადებანი


წარმოდგენა 1. ქუთაისი ქართულითეატრი

**პარასკევს 30 მარიამობისთვეს**

ქუთაისის დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

პირველად ქუთაისში

I

**დროებითი სიყვარული**

ორმედია ორს მოქმედებათ.

II

**მოჩვენება**

ოდევილი ერთს მოქმედებათ.

III

**ვაუდევილი**

ერთი სცენა მესამე მოქმედებიდამ ფასი ადგილებისა ჩვეულებრივი.

გაგზავნილი ჯ. მესხი.

**სასწავლებელი და პანსიონი**

კლასიკური გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლის 4 წლის კურსით

ა. ს. ვინკულოვისა.

მოწაფეთა და პანსიონერთა მიღება დაიწყება ენკენისთვის 2-დამ; სწავლა ენკენისთვის 5-დამ დაწვრილებითი პირობანი შეიძლება შეიტყოს მიხაილის ქუჩ., № 81 და ელისაბედის ქუჩ., № 10. (1—1)

**ქართული ღვინის ვაღაზია**

**გ. ჩარკვიანის**

**ოდრის-ბელიბანის ბაღებიდან**

**ბაქოს-ბელიბანის ბაღებიდან**

**ბაქოს-ბელიბანის ბაღებიდან**

**ბაქოს